

მართოდ მცხოვრები ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემები

2021



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

სამთავროს სტრატეგიის განვითარების
და მთავრობების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



პვტორი: თაა თედლიაშვილი

რედაქტორაბა: ალაკო ჭყიდიშვილი, ნინო ტლაშაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია **ადამიანის უფლებათა ცენტრი** (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: [http:// www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)

ვებ-საიტი: hrc.ge

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი. ის შესაძლოა, არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



სამთქალამო საზოგადოების განვითარებისა
და მთქალამების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



სარჩევი

შესავალი	3
მინის რეგისტრაციის პრობლემა	8
სოციალურად დაუცველთა რეგისტრაციის ხარვეზები	11
ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა	12
COVID-19-ის სანიმალდებო ვაქცინაცია ხანდაზმულ მოქალაქეებში	14
საკანონმდებლო ინიციატივა	15
სოციალური ჯგუფი - „მხარდამხარ“	16

შესავალი

2021 წლის 20 იანვრიდან 2021 წლის 20 აგვისტომდე ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა პროექტი „პანდემიის შედეგების შემსუბუქება მარტოხელა ხანდამშულებისთვის შიდა ქართლში“. პროექტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტი მიზნად ისახავდა მარტოხელა ხანდამშულებისთვის პანდემიის შედეგად გამოწვეული პრობლემების სამართლებრივი მოგვარების ხელშეწყობას, ხანდამშულთა საჭიროებების კვლევას და კვლევის შედეგების გათვალისწინებით გამოკვეთილი პრობლემების სხვადასხვა უწყებებთან წარდგენას და გადაჭრის გზების შეთავაზებას.

პირველ ეტაპზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოიკვლია ხანდამშულთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რეგიონში და მათ წინაშე არსებული სამართლებრივი პრობლემები. პროექტის ფარგლებში, პირდაპირი ვიზიტით გამოიკითხა შიდა ქართლში მცხოვრები 283 მარტოხელა/მართოდ მცხოვრები ხანდამშული, მათ შორის - 207 ქალი და 76 კაცი.

გამოკითხულ ბენეფიციართა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით	
გორი	87
ხაშური	66
კასპი	56
ქარელი	74

გამოკითხულ ბენეფიციართა რაოდენობა სქემის მიხედვით	
ქალი	207
კაცი	76

პროექტის მოხალისეებმა განახორციელეს 32 გასვლითი ვიზიტი 70 სოფელში (გორი, ქარელი, კასპი, ხაშური).

ვიზიტების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით	
გორი	10
ხაშური	8
ქარელი	8
კასპი	6

3

მართოდ მცხოვრები ხანდაზმულების
სოციალურ-ეკონომიკური და
სამართლებრივი პრობლემები

პროექტით დაფარული სოფლების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით	
გორის მუნიციპალიტეტი	23 სოფელი
ხაშურის მუნიციპალიტეტი	20 სოფელი
კასპის მუნიციპალიტეტი	11 სოფელი
ქარელის მუნიციპალიტეტი	16 სოფელი

იერისტმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია **115** ბენეფიციარს (**94** ქალი, **21** კაცი). გამოკვეთილი პრობლემების ადვოკატირების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა საჯარო მიმართვები შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების მოგვარების გზების კონკრეტული რეკომენდაციებით.

იურიდიული კონსულტაციები		
ქალი	კაცი	სულ
94	21	115

პროექტის გუნდს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სოფლების მოსახლეობასთანაც, ვისგანაც მოხალისე მხარდამჭერები იღებდნენ ინფორმაციას იმ მართოხელა ხანდაზმულების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ საჭიროებდნენ დახმარებას.

ფეისბუქში შეიქმნა სოციალური ჯგუფი „მხარდამხარ“, რომლის მიზანია შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები ხანდაზმულების მხარდასაჭერად ადამიანური და ფინანსური რესურსის მობილიზაცია, სხვადასხვა კამპანიების დაგეგმვა, სამოგადოებისთვის ხანდაზმულების საჭიროებების და ყოველდღიური ცხოვრების გაცნობა.

ხანდაზმულთა პრობლემების გამოვლენა – მეთოდოლოგია და გამოკვეთილი საჭიროებები

პროექტის ფარგლებში:

- ✓ 8 მოხალისემ შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში (გორი, ხაშური, ქარელი, კასპი) განახორციელა **32** გასვლითი ვიზიტი **70** სოფელში. მათ პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდათ მართოხელა და მართოდ მცხოვრებ ხანდაზმულებთან. შემუშავდა კითხვარი, რომლის მიხედვითაც იღებდნენ ინფორმაციას ბენეფიციარებისგან. ასევე, გამოყენებული იყო ღია გამოკითხვის მეთოდი ბენეფიციართა საჭიროებებიდან გამომდინარე. მოხალისეები ვიზიტების დროს ძირითადად იკვლევდნენ ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ საჭიროებებს და ბენეფიციარებს სთავაზობდნენ სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად ადამიანის

უფლებათა ცენტრის იურისტის დახმარებას, როგორც კონსულტაციის, ასევე აღდგოკატირების გზით.

- ✓ შეიქმნა ბენეფიციართა საერთო ბაზა (ოთხივე მუნიციპალიტეტში გამოკითხული ხანდაზმულების მონაცემებით), სადაც დეტალურად აღირიცხა ხანდაზმულთა საჭიროებები.
- ✓ შეიქმნა იმ ხანდაზმულ პირთა ბაზა, ვისაც ესაჭიროებოდა სამართლებრივი დახმარება. პროექტის ფარგლებში იურიდიული კონსულტაცია გაენია 115 ხანდაზმულს (სატელეფონო და პირდაპირი ვიზიტის დროს).

ძირითად პრობლემად მართოდ მცხოვრებ ხანდაზმულებში გამოიკვეთა:

- მედიკამენტებზე და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.
- მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები.
- სოციალური და ეკონომიკური პრობლემები.

პროექტის განხორციელებისას მოხალისეები და იურისტი აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ თვითმმართველობებთან. გამოთხოვილი სიების საფუძველზე ხდებოდა საგარეუდო ბენეფიციარების იდენტიფიცირება და შემდგომში ვიზიტების დაგეგმვა კონკრეტულ ოჯახებში. ასევე, მოხალისეები მართობელა ხანდაზმულების შესახებ ინფორმაციას იღებდნენ სოფლის მოსახლეობისგან.

მედიკამენტაჲე ხელმისაწვდომობა

პროექტის ფარგლებში მოხალისეებმა ოთხ მუნიციპალიტეტში (გორი, ხაშური, ქარელი, კასპი) პირდაპირი ვიზიტის ფარგლებში გამოკითხეს მართობელა/მართოდ მცხოვრები ხანდაზმულები. მათი აბსოლუტური უმრავლესობის განცხადებით, ისინი ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით ვერ სარგებლობენ, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვალისწინებს გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის (ტიპი II), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების, ეპილექსიის და პარკინსონის დაავადების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფას¹.

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტები ვერ აკმაყოფილებენ ხანდაზმულების რეალურ საჭიროებებს და მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, მთავრობის ეს ინიციატივა დადებითად შეიძლება შეფასდეს, სამუხაროდ, პროგრამა არაეფექტურია. ყველა ხანდაზმული, რომელმაც ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართა, აღნიშნავდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროგრამით

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული მედიკამენტების შესახებ: <http://www.hrc.ge/155/geo/>

სარგებლობა, მაგრამ ისინი ვერ ახერხებენ იმ წამლების შეღავათიანი ფასით შეძენას, რომლებსაც სისტემატურად, წლების განმავლობაში მოიხმარენ.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, ხანდაზმულებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფიზიკურად (გასათვალისწინებელია, რომ მართოხელა ხანდაზმულებისთვის, ხშირად, დიდ პრობლემას წარმოადგენს გადაადგილება), ასევე ფინანსურად, რადგან აბსოლუტური უმრავლესობა მედიკამენტებს პენსიით ყიდულობს, რაც მათთვის საარსებო მინიმუმს და შემოსავალის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა საჯარო მიმართვით მოუწოდა საქართველოს მთავრობას:

- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შეიცვალოს მედიკამენტების ჩამონათვალი მოთხოვნილი მედიკამენტებით, რათა პროგრამა გახდეს რეალურად ეფექტიანი.

- ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს შეღავათიანი ფასით იმ მედიკამენტის შესყიდვა, რომელსაც დანიშნავს პაციენტის მკურნალი ექიმი და პაციენტი არ გახდება იძულებული, შეიძინოს ის მედიკამენტი, რომელსაც თავად სთავაზობს სახელმწიფო.

- მიმწოდებელმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა: პსპ, ჯიპისი, ფარმადეპო, ავერსი - მუნიციპალიტეტის ცენტრებში არსებული სტაციონარული აფთიაქების გარდა, უზრუნველყონ ხანდაზმულთა მხარდასაჭერად მობილური აფთიაქების არსებობა გარკვეული დროის მონაკვეთებში, რათა ხანდაზმულებმა შეძლონ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების შეძენა შორ მანძილზე გადაადგილების გარეშე.

აღვოკატირება პრობლემის მოგვარების მიზნით:

ადამიანის უფლებათა ცენტრმა აპრილში შეიმუშავა აღვოკატირების გეგმა, რომლის ფარგლებში დაიწყო კომუნიკაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამის ხარვეზების გამოსწორების მიზნით. ასევე, ორგანიზაციამ აღვოკატირების პროცესში მონაწილეობა შესთავაზა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ ფარმაცევტულ კომპანიებს (ავერსი, ფარმადეპო, პსპ, ჯიპისი). სამწუხაროდ, ფარმაცევტულ კომპანია „ავერსის“ გარდა, სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ფარმაცევტულ კომპანიებს არ გამოუთქვამთ სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავებაში.

- მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციის „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, ერთობლივად მომხდარიყო მსჯელობა ჯანდაცვის პრობლემებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ცენტრისა და „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ წარმომადგენლებმა იმსჯელეს პრობლემის მოგვარების გზებზე. შეხვედრისას ორგანიზაციები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით - ფსიქიკური პრობლემების მქონე ხანდაზმულებთან მიმართებაში.
- მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის თემატიკაზე და ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებზე, მაისში ონლაინ ფორმატში შეხვედრა გაიმართა ადამიანის უფლებათა ცენტრსა და ფარმაცევტულ კომპანია „ავერსს“ შორის. ცენტრის წარმომადგენლებმა „ავერსის“ თანამშრომლებს გაუზიარეს ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებ, რასაც შიდა ქართლში მცხოვრები ხანდაზმული ადამიანები აწყდებიან მედიკამენტებთან დაკავშირებით - ეფექტურად ვერ სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული მედიკამენტებით, აქვთ პრობლემა ოჯახის/სოფლის ექიმებთან და ვერ ახერხებენ წამლების შეძენას შეზღუდული გადაადგილების გამო, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში.

მუნიციპალიტეტების ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მაცხოვრებლებისთვის მობილური აფთიაქების სერვისის დანერგვასთან დაკავშირებით, „ავერსის“ წარმომადგენლებმა ისაუბრეს სხვადასხვა შემთხვევებზე გარემოებაზე, მათ შორის, აღნიშნეს, რომ მობილური აფთიაქის სერვისის დანერგვისთვის საჭირო იყო ჯანდაცვის სამინისტროს და მთავრობის ნებართვა და მათი კოორდინაცია. ამიტომ ამ სერვისის მოდელის შემუშავების წინაპირობად დააყენეს მთავრობისა და კერძო კომპანიების ერთობლივი შეთანხმება.

შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტროსთან

შეხვედრაზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს გააცნო ის პრობლემები, რასაც მართოდ მცხოვრები ხანდაზმულები აწყდებიან ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. სამინისტროს წარმომადგენელმა ვრცლად ისაუბრა იმ სამუშაოზე, რაც სამინისტრომ გასწია ამ პროგრამის დანერგვის, მისი რეფორმირების და ეფექტური განხორციელების მიზნით. პროგრამის ხარვეზებზე საუბრისას მან ახსენა საგარეუდო კორუფციული სქემაც, რომელშიც შესაძლოა, ჩართულები არიან ფარმაცევტული კომპანიები და ოჯახის/სოფლის ექიმები. სამინისტროს განცხადებით, უფასო მედიკამენტების ნუსხა

სრულად აკმაყოფილებს ნოზოლოგიით გათვალისწინებულ დაავადებათა მკურნალობას და პრევენციას. თუმცა, ექიმები ფარმაცევტულ კომპანიებთან გარიგების გამო, საკუთარი სურვილით წერენ ისეთ მედიკამენტებს, რომლებიც არ შედის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ნუსხაში. ამ პრობლემის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით, სამინისტრო და ადამიანის უფლებათა ცენტრი შეთანხმდნენ თანამშრომლობის გაგრძელებაზე.

მიწის რეგისტრაციის პრობლემა

მოხალისეების მიერ გამოკითხულმა ხანდაზმულებმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელეს მიწის და საერთოდ ქონების რეგისტრაციის საკითხი. ვინაიდან, ქონების რეგისტრაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშეწყობა და საკუთრების უფლების განმტკიცება მოქალაქისთვის, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა და საჯაროდ გაავრცელა მიმართვა ხანდაზმულთათვის ქონების რეგისტრაციის პრობლემებთან დაკავშირებით².

ქვეყანაში მოსახლეობა წლების მანძილზე ფლობს ქონებას, მაგრამ მისი იურიდიული რეგისტრაცია ისევ მოუწესრიგებელია. ხშირად მესაკუთრეებს დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ აქვთ, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს საკუთრების უფლებას. შესაბამისად, მოქალაქეებს ხშირად უწევთ სასამართლო დავები, რათა დადგინდეს, რომელი კონკრეტული ადგილის (მიწის) მესაკუთრენი არიან. ეს კი დაკავშირებულია არა მხოლოდ მოქალაქეების ფინანსურ ხარჯებთან, არამედ სახელმწიფო ხარჯებთანაც (სასამართლოს ხარჯები, ადმინისტრაციული თუ ადამიანური რესურსები).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტს 2016 წლიდან ახორციელებს, რაც გულისხმობს მოქალაქეებისთვის მიწის უფასოდ რეგისტრაციას - ამომავალი ნახაზები, საარქივო ცნობების არქივიდან გამოთხოვა, უფლების დამდგენი დოკუმენტის მოძიება, აღიარების კომისიისთვის მიმართვა. აღნიშნული სერვისების სარგებლობისას პოტენციურ მესაკუთრეებს თავად არ უწევთ მომსახურების საფასურის გადახდა. საქართველოს მოქალაქეებისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი პროექტი დროში ძალიან გაჭიანურდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოკითხულ ხანდაზმულთა დიდი უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული არ აქვს და სახელმწიფოსგან ამ კუთხით დახმარებას ითხოვენ. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მიწის რეგისტრაციის საკითხი ყველაზე მეტად აწუხებს 70-დან 90 წლამდე ასაკის

² იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა ხანდაზმულთათვის მიწების დროულად რეგისტრაციის თაობაზე <http://www.hrc.ge/173/geo/>

ხანდაზმულ ადამიანებს. რეგისტრაციის პროცესში ხშირია ხარვეზები, რომლის აღმოფხვრისთვის საჭიროა იუსტიციის სახლებსა და საჯარო რეესტრის სააგენტოში დამატებით ვიზიტები (გადაფარვა, ზედღება, ტყის მასივის დაფარვა, საქარე ზოლის გადაფარვა, აღიარების კომისიისთვის მიმართვის აუცილებლობა და სხვა). ეს პროცესები ხელმისაწვდომი არ არის იმ ხანდაზმული ადამიანებისთვის, ვისაც ფიზიკური და ფინანსური სირთულეების გამო, უჭირთ გადაადგილება.

ხანდაზმულები ხშირად ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მიწის რეფორმის პროექტის სერვისებით, რადგან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ხარვეზებს ადგენს ელექტრონულად და თუკი ეს ხარვეზი დროულად არ აღმოიფხვრა, შემდეგ წყვეტს წარმოებას. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე - სრული ინტერნეტიზაციის არარსებობა და მასზე შემლუდელი წვდომა ხანდაზმულ ადამიანებს ხელს უშლით, თავისუფლად და სრულად ისარგებლოს მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმით.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადების გაგრცელებისას მოუწოდა საქართველოს მთავრობას:

- მოახდინოს მეტი კოორდინაცია მიწის რეფორმის განსახორციელებლად, რაც გულისხმობს ხარვეზების შემთხვევაში ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ჩართვას მოსარგებლე პირების ინფორმირების მიზნით.
- ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, უზრუნველყოს სატელეფონო კომუნიკაცია არა მხოლოდ მესიჯით ან ინტერნეტით, რადგან ხანდაზმულთა უმრავლესობა მესიჯებს ვერ კითხულობს და არ სარგებლობს ინტერნეტით.
- დააჩქაროს და დროულად მოახდინოს რეფორმის განხორციელება, რაც განამტკიცებს საქართველოს მოქალაქეებში საკუთრების უფლებას და წარმოშობს ნაკლებ სამართლებრივ დავას.
- მოხდეს ხანდაზმულთა განსაკუთრებული საჭიროებების, ადამიანური და მწირი ფინანსური რესურსების გათვალისწინება და პროგრამა გახადოს უფრო მოქნილი, ხელმისაწვდომი და ადაპტირებული.

პრობლემის ადვოკატირების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობები:

- მიწის რეგისტრაციის პრობლემასთან დაკავშირებით, ივლისის თვეში ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამართა შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტში მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში. მათი ინფორმაციით, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები მრავალფეროვანია, რაც გამოწვეულია ადამიანური რესურსებისა და ტექნიკურ-მატერიალური ბაზის სიმწირით. მათივე თქმით, ისინი მზად არიან, ჩაერთონ პრობლემის მოგვარებაში, თუკი საჯარო რეესტრი იმ

ხანდაზმულებთან დაკავშირებით ინფორმაციას მიაწოდებთ, ვისაც დაუდგინდათ ხარვეზი მიწის რეგისტრაციის პროცესში.



რეგისტრაციაში ხელისშემშლელ პრობლემად, ასევე, დასახელდა ნაკვეთის იდენტიფიკაციის დადგენა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების აზრით, მამაპაპისეულ ნაკვეთებს არ უნდა ჭირდებოდეს იდენტიფიკაციის დადგენა და შესაძლებელი უნდა იყოს, დაეყრდნონ USAID-ის მიერ გაკეთებულ აზომვებს და დაადარონ ახალ აზომვებს, რაც გაამარტივებს მიწის რეგისტრაციას დროში და აღარ იქნება საჭირო დამატებითი რესურსების გამოყენება.

შეხვედრისას მიწის რეგისტრაციის მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა გასული საუკუნის 90-იან წლებში გასხვისებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია. ასეთი ნაკვეთების დარეგისტრირებისას ვლინდება პრობლემები, რადგან მიწა გაყიდა ერთმა პირმა, დოკუმენტურად გაფორმების გარეშე, რეალურად ნივთი გადავიდა მყიდველის განკარგულებაში, მაგრამ ახლა, პირველადი რეგისტრაციების დროს, საკუთრება რეგისტრირდება ძველ მესაკუთრეებზე, რომლებიც თანასაკუთრების ფორმით ფლობდნენ ერთპიროვნულად გასხვისებულ ნივთს. აქედან გამომდინარე, თანამესაკუთრეები იწყებენ დავას საკუთრების უფლების მოსაპოვებლად.

პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებში დაასახელეს მუნიციპალიტეტში სრულიად მართებული ხანდაზმულებისთვის, სპორადული რეგისტრაციის წესით მიწების დაკანონება, რაშიც მათ დაეხმარებიან მერის წარმომადგენლები.

- ივლისის თვეში ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის გუნდი საჯარო რეესტრის წარმომადგენლებს შეხვდა იმ პრობლემებზე სასაუბროდ, რაც ხანდაზმულებს აქვთ მიწის რეგისტრაციის პროცესში. საჯარო რეესტრის წარმომადგენლების განმარტებით, მიწის სისტემური რეგისტრაცია აქტიურად მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით და უნდა დასრულდეს სამ წელიწადში. ამავე დროს, სისტემურ რეგისტრაციას ჭირდება დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი, რის გამოც რეგისტრაცია მიმდინარეობს ეტაპობრივად.

საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა დეტალურად მოიკვლიეს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წინასწარ გადაცემული იმ ბენეფიციართა მონაცემები, რომლებსაც მიწის რეგისტრაციის პრობლემა აწუხებდათ. საჯარო რეესტრის მიერ მოკვლეული ინფორმაცია ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ მიეწოდა პროექტით მოსარგებლე კონკრეტულ ბენეფიციარებს, რომლებმაც მოხალისეებთან მიწის რეგისტრაციის პრობლემაზე ისაუბრეს.

სოციალურად დაუცველთა რეგისტრაციის ხარვეზები

COVID-19-ის პანდემიის პირობებში განსაკუთრებით გაუარესდა მართოდ მცხოვრები (მეტწილად - სოფლებში) ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რასაც თან ერთვოდა ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა.

მარტოხელა ხანდაზმულთა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ფიზიკური გადაადგილება. იმისათვის, რომ ხანდაზმულმა მიიღოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სოციალური გასაცემელი (სოციალური შემწეობა), საჭიროა, განცხადებით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს.

გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ უჭირთ განცხადებით მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს. მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან რწმუნებულება ხანდაზმულებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ და ამიტომ ვერ მიმართავენ სააგენტოს განცხადებით სხვა პირის მეშვეობით, რის გამოც ხელი არ მიუწვდებათ ფულად სოციალურ დახმარებაზე. სააგენტოს არასაკმარისი ადამიანური რესურსებით (სოციალური აგენტები) ადგილზე ვერ ხდება იმ ბენეფიციარების შემოწმება, რომლებიც რეალურად საჭიროებენ სახელმწიფოსგან ზრუნვას.

17 მაისს ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს პრობლემების იდენტიფიცირებისა და მოგვარების გზების შემუშავების მიზნით. თუმცა, სოციალური მომსახურების სააგენტოდან ორგანიზაციამ მიიღო მოკლე პასუხი, რომ სააგენტო მუდმივ რეჟიმში მუშაობს სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებას არ მოყოლია რაიმე ქმედითი ნაბიჯი სოციალური მომსახურების სააგენტოსგან, მოგვიანებით ორგანიზაციამ განცხადება³ საჯაროდ გაავრცელა და სააგენტოს მოუწოდა:

- ✓ მოხდეს მეტი კოორდინაცია და სოციალური აგენტების მობილიზება, რაც ხელს შეუწყობს სოციალური სამუშაოების სრულყოფილად ჩატარებას და რეალური საჭიროების მქონე პირები შეძლებენ ისარგებლონ სახელმწიფო სოციალური პროგრამებით.
- ✓ სოციალური მომსახურების სააგენტოში დაინერგოს განაცხადების ელექტრონულად წარდგენის მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემთ მარტოხელა/მარტოდ მცხოვრებ ხანდაზმულებს, მხარდამჭერების (ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის არმქონე მხარდამჭერების) საშუალებით გააკეთონ განაცხადი სოციალური მომსახურების სააგენტოში ფიზიკურად წარდგენის გარეშე და მიეცეთ შესაძლებლობა, შემდგომ განაცხადი შეავსონ ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე, სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს.
- ✓ მოხდეს ხანდაზმულთა განსაკუთრებული საჭიროებების, ადამიანური და მწირი ფინანსური რესურსების გათვალისწინება და პროგრამა გახადოს უფრო მოქნილი, ხელმისაწვდომი და ადაპტირებული.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ამ განცხადების გავრცელებას დიდი გამოხმაურება მოყვა მედიის მხრიდან, ცენტრალურმა და ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა მოამზადეს სიუჟეტები ხანდაზმულთა სოციალური პრობლემების შესახებ. ჯანდაცვის სამინისტრომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით მედიასაშუალებებთან განმარტა, რომ ხანდაზმულებს განაცხადის გაკეთება ცხელი ხაზის მეშვეობით, სააგენტოში მისვლის გარეშე შეუძლიათ.

ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა

ხანდაზმულებთან მუშაობის პროცესში გამოკითხვისას გამოიკვეთა ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის პრობლემა. სავარაუდო ძალადობის მსხვერპლები, ძირითადად, არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან: 1. ხანდაზმულებს არ სურთ ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან და ფარავნ დაინაშაულოს, რათა არ მოხდეს მათი ოჯახის წევრების დაპატიმრება. 2. ხანდაზმულებს არ სურთ საცხოვრებელი ადგილის დატოვება და საცხოვრებლის შეცვლა (თავშესაფარში

³ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა სოციალური მომსახურების სააგენტოს მარტოხელა ხანდაზმულების საჭიროებების თაობაზე <http://www.hrc.ge/219/geo/>

გაყვანა), რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ძნელად ახერხებენ ახალ სოციალურ ადაპტირებას, რამაც შეიძლება ფსიქოლოგიური პრობლემები გამოიწვიოს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მსხვერპლის გადაყვანა თავშესაფარში ეფუძნება მის გადაწყვეტილებას. მსხვერპლის რეაბილიტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა მან საკუთარი თავი არ დაიდანაშაულოს. ხანდაზმულთა უმრავლესობას ურჩევნია, თავის სახლში განაგრძოს ცხოვრება.

ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საჭიროა, გამოიძებნოს სხვა მექანიზმები, რაც ეფექტურად დაიცავს ხანდაზმულებს ოჯახში ძალადობისგან.

20 მაისს ადამიანის უფლებათა ცენტრისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორს, იდენტიფიცირებულ ძალადობის ფაქტებსა და ხანდაზმულთა მიმართ ოჯახში ძალადობის ზოგად ტენდენციებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთი რეკომენდაციაა, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვრცობა რეგიონებში, რადგან მართლწესრიგის ოფიცრებს არა აქვთ ინსპექტორ-გამომძიებლის ფუნქციები და უფრო აქტიური კომუნიკაციის დამყარება შეუძლიათ მსხვერპლებთან, რაც საშუალებას იძლევა, მოკვლეული იქნეს ძალადობის მაღალი რისკის მქონე ოჯახები და აქტიურად განხორციელდეს მათთან მონიტორინგი და შეძლებისდაგვარად, თავიდან იქნეს აცილებული სისხლისსამართლებრივი დანაშაული.

ასევე, ორგანიზაციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, სადაც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რა სურს თავად მსხვერპლს, განსაკუთრებით - მაშინ, როდესაც მოძალადე თვითონ არის ფსიქიკური პრობლემების მქონე და საჭიროებს სამედიცინო დახმარებას.

შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემის გარდა, ერთ-ერთ ალტერნატიულ ვარიანტად ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ მოძალადესთან ქცევის კორექციაზე გარკვეულ მუშაობას. მაგალითად: სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მოძალადესთან გასაუბრება და ოჯახის მონიტორინგი, არა საგამოძიებო მოქმედებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით, არამედ მოძალადის ქცევის შეცვლისთვის კონსტრუქციულად და სპეციალურად შემუშავებული პროტოკოლით, რაც დაგეგმილი იქნება მოძალადესთან მუშაობის ეფექტურობის გათვალისწინებით.

COVID-19-ის საინფორმაციო ვაქცინაცია ხანდაზმულ მოქალაქეებში

პროექტის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოკვეთა ხანდაზმულებში ვაქცინაციასთან დაკავშირებული პრობლემა. შიდა ქართლში მცხოვრები მართოხელა ხანდაზმულები პანდემიის პირობებში პრაქტიკულად, ყურადღების მიღმა არიან დარჩენილები, რადგან მათ არ აქვთ ინფორმაცია, როგორც კოვიდ 19-ის პანდემიის რისკების, ასევე - ვაქცინაციის პროცესის შესახებ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია მართოხელა ხანდაზმულების ხელმისაწვდომობა ქვეყანაში არსებულ ვაქცინებზე. ხანდაზმულები, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ერთ - ერთი მაღალი რისკის შემცველ ჯგუფს და საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და მხარდაჭერას სახელმწიფოსგან.

მართოხელა ხანდაზმულებს არ შეუძლიათ ვაქცინაზე რეგისტრაცია, რადგან მათ არ აქვთ შესაბამისი ტექნიკური საშუალებები (კომპიუტერი, შესაბამისი ტელეფონი, ინტერნეტი) და არც დახმარებას უწევს ვინმე, რის გამოც ხელი არ მიუწვდებათ ვაქცინაციის პროცესზე. შიდა ქართლში გამოკითხული 286 ხანდაზმულიდან მხოლოდ 1 ადამიანი იყო აცრილი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია არჩევის ნაკლებობით (სახელმწიფო მოქალაქეებს სთავაზობს მხოლოდ 4 სახის ვაქცინას), ვაქცინაზე ამომწურავი (დღეის მდგომარეობით რა ინფორმაციაც არის ცნობილი და დადასტურებული) და სწორი ინფორმაციის მიწოდების ნაკლებობით და ტექნიკური ხელმისაწვდომობის პრობლემით.

მნიშვნელოვანია ტექნიკურად ვაქცინაზე რეგისტრაციის ხელმისაწვდომობა. სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ონლაინ პლატფორმა და ცხელი ხაზით რეგისტრაცია ეფექტური არ არის, რადგან ორივე მათგანზე ხელმისაწვდომობა სოფლებში ძალიან დაბალია. მით უფრო, ეს პრობლემურია მართოდ მცხოვრები ხანდაზმულებისთვის, რომლებსაც უმეტესწილად, ინტერნეტიც არა აქვთ და დაუხმარებლად არც ონლაინ-პლატფორმაზე ასაცრელად დარეგისტრირება შეუძლიათ. ვაქცინაციის ტემპის დაჩქარებისთვის ჩნდება აუცილებლობა, მოიძებნოს სხვა ალტერნატიული საშუალებებიც, რაც უზრუნველყოფს სურვილის შემთხვევაში საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობას, ვინაიდან ქვეყანაში ვირუსის გავრცელების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან საგანგაშოდ მაღალია.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა განცხადება და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას:

➤ ეფექტურად აწარმოოს მოლაპარაკებები ვაქცინის მწარმოებელ სხვადასხვა კომპანიებთან და უმოკლეს ვადებში შეიძინონ ჯანდაცვის

მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებული ევროპული და ამერიკული ვაქცინები (რომლებზეც მოთხოვნა მოსახლეობაში გაცილებით დიდია), რათა გაიზარდოს ქვეყანაში არჩევნის შესაძლებლობა.

➤ გაზარდოს ვაქცინაზე რეგისტრაციის ხელმისაწვდომობა და ამ პროცესში აქტიურად ჩართოს სოფლის ექიმები და ამბულატორიები, რათა ხანდაზმულ მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება, სურვილის შემთხვევაში, აიცრას.

➤ მოხსნას ვაქცინაზე წინასწარი რეგისტრაცია, რაც დაეხმარება მართოხელა ხანდაზმულებს სურვილის შემთხვევაში თავისუფლად აიცრან.

➤ აწარმოოს სწორი და სრულყოფილი კამპანია ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო ინიციატივა

საქართველოში პრობლემას წარმოადგენს ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა, სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით. ხანდაზმულების ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან. სახელმწიფო გასაცემელი (პენსია) და სახელმწიფოს მიერ პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული წესით ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება სრულად ვერ აკმაყოფილებს ხანდაზმულთა საჭიროებებს.

მართალია, ჯანდაცვის სამინისტროს შემუშავებული აქვს უფასო მედიკამენტების პროგრამა, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორის გამო, ეს პროგრამა არ არის ეფექტიანი და საჭიროებს მეტ სოციალურ გარანტიებს. ჯანმრთელობის დაცვის ეს პაკეტი სრულად უნდა ფარავდეს ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობას, როგორც მედიკამენტების, ისე სტაციონარული მომსახურების ხარჯებს 85 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობისთვის. ჯანდაცვის უფასო მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამა ფარავს მხოლოდ გავრცელებულ ქრონიკულ დაავადებებს და დაფინანსების მიღმა რჩება ხანდაზმულებისთვის იმ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, რაც მათი სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია. 85 წელს ზემოთ ასაკის ადამიანებში ავადობის მაჩვენებელი, თუნდაც ბიოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, გაცილებით მაღალია. ამ ასაკში თითქმის ყველა მოქალაქე უჩივის გულ-სისხლძარღვთა, სახსრების, თირკმელების დაავადებას და მაღალ არტერიულ წნევას (არტერიული ჰიპერტენზია), რაც ყველაზე გავრცელებული დაავადებაა და ავადობისა და სიკვდილობის ძირითად რისკ-ფაქტორად ითვლება. „საქსტატის“ 2019 წლის მონაცემებით, ასევე, სერიოზული პრობლემაა სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები.

შიდა ქართლში გამოკითხულ ხანდაზმულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მედიკამენტების ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით ვერ სარგებლობს სწორედ იმის გამო, რომ მათთვის საჭირო წამლები ჩამონათვალში არ არის და საკუთარი ხარჯებით უწევთ წამლების შეძენა, რასაც ხშირად ვერ ახერხებენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, პროექტის ფარგლებში მოკვლეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (პირდაპირი წესით პროექტის ბენეფიციარებთან გასაუბრება, „საქსტატის“ მონაცემები, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გასული სიუჟეტები, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელებისგან მიღებული ინფორმაციები), შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადება ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს და მთავრობას. ორგანიზაცია ცდილობს, დააინტერესოს პარლამენტის დეპუტატები და მიიღოს მათი მხარდაჭერა, რის შემდეგაც საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში ინიციატივის სახით დარეგისტრირდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ინიცირებული ცვლილებებით, სახელმწიფო სრულად მოახდენს მოსარგებლეთათვის მედიკამენტების და გადაუდებელი ოპერაციების თუ სხვა სამედიცინო საჭიროებების დაფინანსებას, რათა ბენეფიციარებმა დაუბრკოლებლად ისარგებლონ ჯანდაცვის პროგრამით (არ ექნებათ ფინანსური დანახარჯი).

მნიშვნელოვანია ჰოსპიტალიზაციის სრულად დაფინანსება 85 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობისთვის. 85+ მოქალაქეები სრულად უნდა გათავისუფლდნენ ოპერაციების თანაგადახდისგან, როგორც სახელმწიფო ასევე, კერძო სამედიცინო დაწესებულებებში. მიღებული ცვლილება გააუმჯობესებს პროგრამით მოსარგებლეების სოციალურ მდგომარეობას, შექმნის მნიშვნელოვან გარანტიებს და გაზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას. ხელს შეუწყობს ღირსეული დაბერების სახელმწიფო კონცეფციის განხორციელებას.

სოციალური ჯგუფი – „მხარდამხარ“

ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელობით, პროექტის მოხალისეების მიერ ფეისბუკზე შეიქმნა სოციალური ჯგუფი „მხარდამხარ“, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულების მხარდაჭერა.

პროექტის განმავლობაში მოხალისეებმა შეძლეს შეეგროვებინათ შემოწირულობა და დახმარებოდნენ საოკუპაციო, გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრებ ვალია ვანიშვილს. ჯგუფის - „მხარდამხარ“ მიერ დაწყებული კამპანიის ფარგლებში შემომწირველების მიერ შეგროვდა 945 ლარი. ჯგუფის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ანტისაოკუპაციო მოძრაობამ, ასევე - გორის მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით კიდევ დააკმაყოფილეს ვალია ვანიშვილის საჭიროებები.

9 ივნისს ჯგუფის „მხარდამხარ“ წევრები ეწვივნენ ვალია ვანიშვილის სოფელ ხურვალეთში გამყოფ ხაზთან და გადასცეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მედიკამენტები და სურსათი.



ჯგუფი „მხარდამხარ“ პროექტის დასრულების შემდეგ განაგრძობს საქმიანობას და აქტიურობას სოციალურ ქსელებში, ასევე გააგრძელებს ხანდაზმულთა პრობლემების მოკვლევას და მათ დახმარებას.